ხელშეკრულება №63
შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 02 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში –„შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „2+1” (ს.კ 418465529) წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საკანცელარიო ნივთების (CPV30100000), ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალების (CPV22800000), წებოების (CPV24900000), მაკრატელის (CPV39200000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია: მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.3.შესასყიდი ობიექტის საერთო ღირებულებაა 337.65 სამასოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცდახუთი თეთრი. საქართველოს კანონმდებლობიოთ გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 05 მაისის ჩათვლით
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი ჭავჭავაძის 47/2.
5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) კალენდარულ დღეში.
7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი,გურამიშვილის № 5.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

9.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი მერაბ მერაბიშვილი. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”	შპს ,, 2 + 1“
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი ქ.გორი ჭავჭავაძის 47/2
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები სს თიბისი ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
	ანგ. GE10TB7923036020100004
ს/კ 417874973	ს/კ 418465529
დირექტორი გია ისიანი	დირექტორი კონსტანტინე ბერიძე

საქონლის დასახელება **დანართი 1**

N	დასახელება	ზომის ერთეულუ	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ	CPV კოდი
1	კატრიჯი HP285	ცალი	2	27,00	54,00	30125100
2	ფაილი ა4 100 ც	ცალი	13	4,00	52.00	22852100
3	ჩასანიშნი ქაღალდი წებოს გარეშე	ცალი	2	2,30	4,60	30199720
4	შავი ფანქარი	ცალი	22	0,15	3,30	30192130
5	საშლელი კოხინორი	ცალი	8	0,40	3,20	30192100
6	დაფის მარკერი	ცალი	14	0,70	9,80	30192125
7	წებოვანი ჩასანიშნი	ცალი	12	2,50	30,00	30199720
8	თხევადი წებო	ცალი	5	0,70	3,50	24910000
9	წებო მშრალი 15 გრ	ცალი	5	0,50	2,50	24910000
10	კალამი	ცალი	95	0,15	14,25	30192121
11	ფერადი ჭიკარტი	ცალი	3	0,90	2,70	30197120
12	სტეპლერი 0229	ცალი	3	2,50	7,50	30197100
13	ბაინდერი ა4 განიერი	ცალი	13	3,30	42,90	22851000
14	სათლელი	ცალი	5	0,30	1,50	30192133
15	გასაღების ბრელოკი	ცალი	30	0,20	6,00	30195800
16	კნოპკიანი საქაღალდე	ცალი	3	0,70	2,10	22852000
17	კნოპკიანი საქაღალდე	ცალი	4	0,50	2,00	22852000
18	დაფის მაგნიტი 4008 8 ც	ცალი	3	1,80	5,40	30195100
19	საკანცელარიო დანა	ცალი	3	1,50	4,50	30192700
20	საქაღალდე 40202 ჩამკეტით	ცალი	1	7,00	7,00	22852000
21	საქაღალდე რეზინით	ცალი	2	1,30	2,60	22852000
22	*საკანცელარიო ჭიქა*	ცალი	*1*	*1,20*	*1,20*	*30193100*
23	კლიფსი 977144	ცალი	12	0,25	3,00	30197130
24	სახაზავი მეტალის 30 სმ	ცალი	1	0,70	0,70	30194000
25	მაკრატელი	ცალი	1	2,00	2,00	39241200
26	საკანცელარიო ურნა	ცალი	1	5,00	5,00	30190000
27	ბლოკნოტი	ცალი	4	5,00	20,00	22816100
28	ბლოკნოტი	ცალი	13	0,80	10,40	22816100
29	სწრაფჩამკერი ზამბარით	ცალი	1	2,50	2,50	30197210
30	სწრაფჩამკერი	ცალი	20	0,60	12,00	30197210
31	რვეული ა4 96 ფ	ცალი	1	2,50	2,50	22815000
32	საკანცელარიო რვეული	ცალი	2	1,00	2,00	22815000
33	მარკერი ტექსტის	ცალი	3	1,00	3.00	30192125
34	კორექტორი ლენტი	ცალი	12	1,00	12,00	30192910
					337,65	

,,შემსყიდველი“ **,,მიმწოდებელი“**

ა(ა)იპ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”

შპს ,, 2 + 1“

დირექტორი გია ისიანი

დირექტორი კონსტანტინე ბერიძე